# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

5..  §.-§“-“§


## საკრებულოს თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა  №361

16 დეკემბერი 2013 წ.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში**
**არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით**
**საჯარო აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ**

,,ადგილობრივი თვითმმართველობის  შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3  პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 დეკემბრის №64 განკარგულებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის”  პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გამოტანილი იქნას საჯარო აუქციონზე, სასყიდლიანი სარგებლობის  უფლებით გაცემის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დ.ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №69–ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 480 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.048).
2. სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმად განისაზღვროს იჯარა.
3. იჯარის ფორმით სარგებლობის ვადად განისაზღვროს 2 წელი.
4. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის შესაბამისად.
5. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას გაზეთ ,,24 საათში“ და ადგილობრივ პრესაში.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბ მისამართზე – ჭავჭავაძის ქყ 3 §ყ
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

*საკრებულოს*

*თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია ბ*

*იურისტი* *ედიშერ ჯიბუტი*

**დანართი**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების**
**სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე**

| № | ობიექტის დასახელება და მისამართი | საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი) | ,,ბე" (ლარი ) | ,,ბიჯი" (ლარი) 10% | მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი) | მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №69–ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 480.00კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი | 6192 | 1860 | 620 | 20 | 28.01.22.048 |

1.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის საიჯარო ქირაა – 12.90 ლარი;
საიჯარო ფართის გაცემა შესაძლებებლია ნაწილ–ნაწილ;
სარგებლობის უფლებით ვადაა 2 წელი;

**პირობები:**

1. აუქციონის კრიტერიუმია მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება;
2. საიჯარო ქირის გადახდა არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა;
3. კომუნალური ხარჯების გადახდა;
4. იჯარით აღებული ქონების მოვლა–პატრონობა და ხამძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13:00 საათამდე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, საუქციონო კომისიაში (წერეთლის ქ. N-2).
აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს;
2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი წლიური საიჯარო ქირის შემოთავაზება.
6. აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან უბრუნდება.

,,ბე" შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:
ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 242008705;
აუქციონის მონაწილის ბილეთის თანხა შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე: 300653282;

აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 30 დეკემბერს 15:30 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 959775; 577 957030; 577 957913.**

***ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა***